სტრატეგიული პარტნიორობა გველოშაპთან – ცივილიზაციური განზომილება



ჩინეთის გლობალური ცივილიზაციის ინიციატივის მიმოხილვა

დეკემბერი
2023

არსებობს ასეთი ანეგდოტი, რომ ქვეყნის დამოუკიდებლობის დასაწყისში, ერთ-ერთმა ქართველმა მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელემ, ჩინელ კოლეგას პატივისცემის ნიშნად წმინდა გიორგის ხატი აჩუქა, რომელზე ასახული რეალობითაც ჩინელი სტუმარი გაოგნებული დარჩა.[1]

როგორც ცნობილია, 2023 წლის 31 ივლისს, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ვიზიტისას, ხელი მოეწერა საქართველო-ჩინეთის სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ შეთანხმებას. დოკ-უმენტის მიხედვით, საქართველო ვალდებულებას იღებს მხარი დაუჭიროს ჩინეთის ლიდერობით წამოწყებულ გლობალურ ინიციატივებს, რომელთა შორისაა „გლობ-ალური ცივილიზაციის ინიციატივაც.“ დასავლურ აკადემიასა და უსაფრთხოების თემში, ეჭვს არ იწვევს რომ „დიდი სახელმწიფოების კონკურენციის“ ერაში, ჩინეთის მიერ წამოწყებული ინიციატივები, არსებული გლობალური საერთაშორისო წესრიგის გადახედვისა და ალტერნატიული, სინოცენტრული საგარეო პოლიტიკური ურთიერ-თობების ჩამოყალიბებას ისახავს მიზნად, სადაც ჩინეთის საშინაო ავტორიტარიზმი თუ აგრესიული საგარეო პოლიტიკა, შესაბამისი საერთაშორისო რეაქციის გარეშე დარჩება.

ამ ფონზე, კრიტიკულად მნიშვნელოვანია იმის გააზრება, თუ რა როლსა და ფუნ-ქციას ასრულებს ჩინეთის ზემოხსენებული საბოლოო მიზნების რეალიზებაში, თი-თოეული ცალკე აღებული ინიციატივა. ამ მიზნით, „სამოქალაქო იდეამ“ მოამზადა ანალიტიკური ბლოგების სერია, სადაც გაანალიზებულია ჩინეთის:

- ერთი სარტყელი ერთი გზის ინიციატივა
- გლობალური განვითარების ინიციატივა
- გლობალური უსაფრთხოების ინიციატივა
- გლობალური ცივილიზაციის ინიციატივა

წარმოდგენილ დოკუმენტი მიზნად ისახავს, ჩინეთის „გლობალური ცივილიზაციის ინი-ციატივის“ ანალიზს, უფრო კონკრეტულად, წარმოადგენს იმის გააზრების მცდელობას

ა) რა სპეციფიკურ ფუნქციას ასრულებს იგი ჩინეთის საგარეო პოლიტიკური მიზნ-ების განხორციელებაში;

ბ)როგორია მისი მიმართება დანარჩენ ინიციატივებთან და რაც მთავარია;

გ) როგორი იქნება მისი საქართველოს რეალობაში კონტექსტუალიზაცია.

[1] მიუხედავად იმისა, რომ მას შემდეგ ურთიერთობები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და საქართველოს შორის პროგრესულად ვითარდება და ცოტა ხნის წინ სტრატეგიული პარტნიორობაშიც გადაიზარდა, უწყინარი ანეგდოტი კვლავაც ასახავს ორ ქვეყანას შორის არსებულ კულტურულ მკვეთრ განსხვავებებს.

რა არის ჩინეთის საგარეო პოლიტიკის მიზნები და ინსტრუმენტები

2023 წლის 15 მარტს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი სი ძინპინი თავის მოხსენებაში „გლობალური ცივილიზაციის ინიციატივით" გამოვიდა. ინიციატივის გაცხადებული მიზანია, „მსოფლიო ცივილიზაციების მრავალფეროვნების პატივისცემა, მთელი კაცობრიობის საერთო ღირებულებების პოპულარიზაცია, ცივილიზაციის მემკვიდრეობით გადაცემისა და ინოვაციების დაფასება, საერთაშორისო კულტურული კავშირებისა და თანამშრომლობის გაძლიერება და კაცობრიობის პროგრესის ხელშეწყობა,"[2] ყოველივე ამან, ჩინეთის სხვა გლობალურ ინიციატივებთან ერთად, **„საერთო მომავლის მქონე საზოგადოების"** შექმნის პროცესს უნდა შეუწყოს ხელი.

„საერთო მომავლის მქონე საზოგადოების" იდეა სი ძინპინის საგარეო პოლიტიკის მთავარი ჩარჩოა. კონკრეტულად, იგი წარმოადგენს ჩინეთის გრძელვადიან ხედვას და დიდ სტრატეგიას საერთაშორისო წესრიგის რეფორმატირების შესახებ. რასაც წინ უნდა უნდა უძღოდეს ახალი ტიპის საერთაშორისო ურთიერთობების ჩამოყალიბება, რომელიც ხელს შეუწყობს „ჩინეთის აღორძინებას," და თავისუფალი იქნება, საგარეო ექსპანსიის, ერთი სახელმწიფოს დომინაციისა და კოლონიზაციის მცდარი პრაქტიკებისგან. უნდა აღინიშნოს, „საერთო მომავლის მქონე საზოგადოების" კონცეპტი სი ძინპინს არ შეუქმნია და პირველად ტერმინი მისმა წინამორბედმა ჰუ ძინტაომ ჩინეთის *რეგიონული,* სამეზობლო პოლიტიკის აღწერისას გამოიყენა 2007 წელს. ხოლო სი ძინპინმა ის გამოაცხადა *გლობალური* პოლიტიკის კონცეფციად, მოსკოვში, მისი პრეზიდენტის რანგში პირველი საერთაშორისო ვიზიტისას, 2013 წელს. მოგვიანებით, 2017 წელს კომუნისტური პარტიის მე-19 ყრილობაზე, პარტიის კონსტიტუციაში ცვლილებები შევიდა და ეს საკითხიც აისახა, როგორც სი ძინპინის საგარეო პოლიტიკური შეხედულებების განმსაზღვრელი ასპექტი.

საერთაშორისო წესრიგის ძირითადი მახასიათებლების, მათ შორის, ამერიკის შეერთებული შტატების ლიდერებით შექმნილი სამხედრო ალიანსებისა და დემოკრატიული ნორმების მიმართ წინააღმდეგობები, ახალი არაა ჩინეთის საგარეო პოლიტიკისთვის. თუმცა, სი ძინპინამდე, ჩინეთის ყველა ლიდერი, არსებითად, დენ სიაოპინის ცნობილ მაქსიმაზე - **„დამალე შენი შესაძლებლობები, მოიგე დრო, არ ესწრაფო ლიდერობა**" - აგებდა საგარეო პოლიტიკას. ამ თვალსაზრისით, სი ძინპინმა მისი წინამორბედების რიტორიკა გაპრეზიდენტებისთანავე გაამკაცრა და მანამდე არსებული ფორმულირება - რომ „ჩინეთი სასურველია თანამონაწილეობდეს გლობალური მმართველობის რეფორმირებაში," 2018 წელს - „ჩინეთი აქტიურ ნაბიჯებს გადადგამს გლობალური მმართველობის რეფორმირებისთვის" ფორმულირებით შეცვალა. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ჩინეთმა მსოფლიოს არსებული პრობლემების ლიბერალური დემოკრატიისგან განსხვავებული, ავტორი-

[2] საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩის მიერ გამოქვეყნებული სტატია http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=11&id_artc=177757

ტარული კაპიტალიზმის ალტერნატივა შესთავაზა, რომელიც ასევე გულისხმობს მოდერნიზაციის ჩინურ გზას.

ხსენებული პროაქტიული და რიგ შემთხვევებში აგრესიული საგარეო პოლიტიკური მიზნების რეალიზებისთვის ჩინეთმა წამოიწყო გლობალური ინიციატივები (იხ. გრაფიკი1), რომლებიც სინქრონიზებულად ემსახურებიან საერთო ამოცანის გადაჭრას. ხსენებული ინიციატივებიდან ყველაზე ძველი და კარგად შესწავლილი ერთი სარტყელი ერთი გზის ინიციატივაა, თავისი წინააღმდეგობრივი შედეგებითა და შესაბამისი რეზონანსით მთელს მსოფლიოში. ხოლო დანარჩენი სამი, შედარებით ახალია. აქვე, უნდა აღინიშნოს, უკანასკნელი სამი ინიციატივა კოვიდ პანდემიისა და რაც მთავარია, უკრაინაში ომის დაწყების შემდეგაა ინიცირებული. სავარაუდოდ, ერთმანეთის მიყოლებით წამოწყებული სამი გლობალური ინიციატივა, ერთი მხრივ, კოვიდ პანდემიით მიღებული რეპუტაციული ზიანის შემცირებასა და მეორე მხრივ, რუსეთ - დასავლეთის მზარდი კონფრონტაციის ფონზე, გლობალური პოზიციების გამყარების თვალსაზრისით გაჩენილი ახალი შესაძლებლობების კაპიტალიზაციასთანაა დაკავშირებული.

ინიციატივა		გზები და საშუალებები	მიზანი	
2013	**ერთი სარტყელი ერთი გზა**	• დასავლურ ბაზრეზე წვდომის ზრდა • ვალის დიპლომატია • ძირითადი გეოგრაფია - ევრაზია	საერთო მომავლის მქონე საზოგადოების შექმნა	დიდი სახელმწიფოს აბიციების რეალიზია მსოფლიო წესრიგის შეცვლითა და გლობალური მმართველობის რეფორმატირების გზით
2021	**გლობალური განვითარების ინიციატივა**	• სიღარიბესთან ბრძოლის კონტექსტში, ელიტების კეთილგაწყობის მოპოვება • ძირითადი გეოგრაფია: აფრიკა და ლათინური ამერიკა • გაეროს ინსტრუმენტალიზაცია		
2022	**გლობალური უსაფრთხოების ინიციატივა**	• საერთაშორისო სამხედრო და პოლიტიკური ალიანსების წინააღმდეგ მოქმედება • ნატოს და აშშ-ის წინააღმდეგ მოქმედება • ხისტი ძალის პროექცია • სამხედრო თანამშრომლობა		
2023	**გლობალური ცივილიზაციის ინიციატივა**	• რბილი ძალის პროექცია • კონფუცის ინსტიტუტების გაძლიერება		
ჩინეთის გავლენების პროექტირება დიდი სახელმწიფოების კონკურენციის ერაში				

გლობალური ცივილიზაციის ინიციატივა და მისგან მომდინარე რისკები

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ გლობალური ცივილიზაციის ინიციატივა ჩინეთის მიერ გამოცხადებული სხვა ინიციატივებიდან ქრონოლოგიურად ყველაზე ახალი და კონცეპტუალურად დაუხვეწავია. თუმცა, ამ ტიპის ბუნდოვანება, ნაცნობია ჩინეთის საგარეო პოლიტიკისთვის. საწყის ეტაპზე, ერთი სარტყელი ერთი გზის ინიციატივის შინაარსიც არ იყო ბოლომდე ცხადი და ბევრი დასავლელი ანალიტ-იკოსი, მას უბრალოდ ხმამაღალ სლოგანად მიიჩნევდა, რამაც ხელი შეუწყო პროექტის უწყინარობის შესახებ მცდარი წარმოდგენების გავრცელებას. როგორც ჩანს, ჩინეთი ამგვარი ბუნდოვანებით, თავისუფალი ინტერპრეტაციებისთვის მოქ-ნილობას ინარჩუნებს, რომლებსაც ვითარების მიხედვით აკორექტირებს. უნდა აღინიშნოს, რომ თუ ერთი სარტყელი ერთი გზა, პირველ რიგში ეკონომიკური პროექტი იყო და შემდეგ გეოპოლიტიკური, ახალი სამი ინიციატივის შემთხვევაში პირველადი მიზნები გეოპოლიტიკურია. ამ ერთიანი დიდი საგარეო პოლიტიკური მიზნების მიღწევაში, გლობალური ცივილიზაციის ინიციატივის მიზანი - ჩინეთის ცივილიზაციის მიმართ მსოფლიოს მიმღებლობის გაზრდა, ერთგვარი აკულტურაცია და ჩინეთის რბილი ძალის გავლენების გაზრდაა და შესაბამისად - დასავლური უნივერსალური ღირებულებების წინააღმდეგაა მიმართული.

უფრო კონკრეტულად, როგორც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პოლიტიკური ლიდერების საჯარო გამოსვლებიდან, სახელმწიფო მედიის ძირითადი მესიჯებიდან და სხვადასხვა სახელმწიფოსთან დაახლოებული ექსპერტების კომენტარებიდან ჩანს, გლობალური ცივილიზაციის ინიციატივის მიზანი იქნება ჩინეთზე ახალი, „ამბის," როგორც ნარატივის შექმნა და შესაბამისი გავრცელება, განსაკუთრებით გლობალური სამხრეთის ქვეყნებში, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებში, მაგალითად გაეროში. სი ძინპინმა პარტიის მე-20 ეროვნულ ყრილობაზე განაცხადა, **„უამბეთ ჩინეთის შესახებ უკეთ დანარჩენ მსოფლიოს," მათ შორის ჩინეთისთვის მეგობრული მედია ეკოსისტემის შექმნით.** ეს განცხადება მიუთითებს, რომ კულტურული თანამშრომლობისა და ურთიერთგაცვლის ლეგიტიმურ პლატფორმებ-თან ერთად, გლობალური ცივილიზაციის ინიციატივა, საინფორმაციო და გავლენის ოპერაციების პლატფორმის როლსაც შეასრულებს, ძირითადად ადგილობრივი პოლიტიკური და კულტურული ელიტების მოსყიდვით გლობალური სამხრეთის ქვეყნებში. მით უფრო იმ ფონზე, როცა ჩინეთის კულტურული ურთიერთგაცვლის პროექტების საფარქვეშ, შპიონაჟის, რეკრუტირებისა და აგენტურული საქმიანობის განხორციელებაში, არა ერთხელაა შემჩნეული.

ჩინეთის შესახებ ხსენებული ახალი ნარატივისა და გლობალურ საჯარო დის-კურსში ჩინეთის პოზიტიური იმიჯის დამკვიდრებისთვის გამოყენებული იქნება პარტიისა და პირადად სი ძინპინის მიერ შემუშავებული შემდეგი თეზისები:

ჩინური სტილის მოდერნიზაცია - კომუნისტური პარტიის მე-20 ეროვნული კონგრესის ანგარიშში ეს კონცეფცია თერთმეტჯერაა ნახსენები. საკითხი მეორდება გლობალური ცივილიზაციის ინიციატივის მიმართვის ტექსტშიც, სადაც საუბარია

რომ ხალხმა თავად უნდა გადაწყვიტოს როგორი ტიპის მოდერნიზაციაა მათთვის მისაღები და რაც მთავარია აღნიშნულია, რომ ჩინეთი განავითარებს მოდერნიზაციის ისეთ მოდელს, რომელიც თავისუფალი იქნება კოლონიზაციისა და ჰეგემონობისგან. ამით ჩინეთი დასავლური ლიბერალ-დემოკრატიული განვითარების მოდელის კრიტიკის პარალელურად, მსოფლიოს განვითარების საკუთარ ალტერნატიულ მოდელს სთავაზობს, რომელმაც თავის მხრივ, „საერთო მომავლის მქონე საზოგადოების“ შექმნამდე უნდა მიგვიყვანოს.

დემოკრატიის ჩინური გააზრება

სი ძინპინი „საერთო მომავლის მქონე საზოგადოებაზე“ მსჯელობისას ხაზს მუდმივად უსვამს ორი პოლიტიკური საკითხის *დემოკრატია* და *პარტნიორობა* მნიშვნელობას. ორივე ეს საკითხი კარგად ავლენს კავშირს ჩინეთის საშინაო პოლიტიკის საჭიროებებსა და საერთაშორისო სისტემის რეფორმირების მისეულ ხედვასთან. დემოკრატია საკვანძო პრინციპია, რომელიც სი ძინპინის აზრით თანაბრად მნიშვნელოვანია, როგორც საშინაო პოლიტიკაში, ისე გლობალურ მმართველობაში. 2015 წელს გაეროში სიტყვით გამოსვლისას მან აღნიშნა, რომ კონსულტაცია დემოკრატიის მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელიც ასევე უნდა იქნას გამოყენებული გლობალური მმართველობის ინსტრუმენტად. ცხადია, რომ „კონსულტაციური დემოკრატია,“ როგორც თანასწორთა ურთიერთობის ფორმატი, სი ძინპინისთვის, დასავლური დომინაციის წინააღმდეგ მიმართული ინსტრუმენტია. თუმცა, საკითხს საშინაო პოლიტიკური განზომილებაც აქვს. ჩინეთის სახელმწიფო პროპაგანდა მუდმივად ლაპარაკობს დასავლეთის დაისსა და დასავლური დემოკრატიის კრიზისზე. მათი აზრით, ჩინეთმა შექმნა დემოკრატიის უფრო განვითარებული ფორმა ერთპარტიული მმართველობის მიუხედავად. რაც ეფუძნება, შიდა პარტიული დემოკრატიის მექანიზმებსა და „ჩინეთის სახალხო საკონსულტაციო კონფერენციაში“ გარე დამკვირვებლების მონაწილეობას, რაც მათი აზრით, დასავლურ ელექტორალურ დემოკრატიაზე უკეთესი მმართველობის ფორმაა. სწორედ დემოკრატიის ამგვარი გაგებაზე დგას ზემოხსენებული ჩინური სტილის მოდერნიზაციის კონცეფცია. საქართველოს მიერ ჩინეთთან გაფორმებული სტრატეგიული შეთანხმების დოკუმენტში, ხსენებულ საკითხზე შემდეგი ფორმულირებაა: „საქართველოს სწამს, რომ ჩინეთის მოდერნიზაცია ახალ გზას და ახალ არჩევანს სთავაზობს კაცობრიობას მოდერნიზაციის მისაღწევად. მხარეები გამოთქვამენ მზაობას მმართველობის სფეროში არსებული გამოცდილების გაცვლის კუთხით, საერთო განვითარებისა და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად.“ ზემოაღწერილი კონტექსტის ცოდნის გარეშე, ფრაზა - „მმართველობის სფეროში არსებული გამოცდილების გაზიარება“ ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ საუბარია ტექნოკრატიული თუ ტექნოლოგიური ცოდნის გაზიარებაზე, სინამდვილეში კი, ჩინეთისთვის ამ ყველაფერს, უპირველეს ყოვლისა ღირებულებითი, ნორმატიული მნიშვნელობა აქვს.

პარტნიორობა ალიანსების ნაცვლად

პარტნიორობა, დიალოგი, არაკონფრონტაციულობა და მიუმხრობლობა, ჩინეთის მტკიცებით, მისი სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების განმსაზღვრელი პრინციპია, როგორც ამერიკის ლიდერობით შექმნილი ალიანსების ალტერნატივა. ჩინეთისთვის პარტნიორობა და არა ალიანსები მომგებიანი ურთიერთობის ფორმაა, რადგან ის მხარეებს საშუალებას აძლევს ითანამშრომლონ განსხვავებული ღირებულებების, პოლიტიკური იდეოლოგიებისა თუ საგარეო პოლიტიკური პრეფერენციების მიუხედავად და ამასთან, არ ზღუდავს სამოკავშირეო ვალდებულებებით. უნდა აღინიშნოს, რომ პარტნიორობა, როგორც საგარეო პოლიტიკური მოქმედებების ინსტრუმენტი, ჩინეთისთვის ერთდროულადაა, როგორც ჩინეთის შესახებ ახალი ნარატივის ნაწილი, ანუ მესიჯი, ისე ამ მესიჯის გავრცელების ფორმა. ჩინეთს, ამჟამად, ასეთი საპარტნიორო ურთიერთობები 100 - მდე ქვეყანასთან და ორგანიზაციასთან აქვს და აპირებს, რომ გააგრძელოს პარტნიორთა ქსელის გაზრდა.

აღსანიშნავია, რომ საქართველო-ჩინეთს შორის სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ შეთანხმების დოკუმენტში, პრაქტიკულად ყველა ზემოთ აღწერილი თეზისია თავმოყრილი. შეთანხმების ანალიზი „სამოქალაქო იდეამ“ დოკუმენტის ხელმოწერისთანავე მოამზადა. თუმცა, ცალკეული გლობალური ინიციატივების შესახებ, რომლებსაც ჩინეთთან პარტნიორობის შესახებ დოკუმენტის ხელმოწერით, უპირობა მხარდაჭერა გამოუცხადა მთავრობამ, საქართველოს აკადემიურ და პოლიტიკურ წრეებში შეზღუდული ცოდნა არსებობდა (სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ეს ცოდნა ჯერ კიდევ მწირია დასავლურ აკადემიურ სივრცეშიც). წინამდებარე დოკუმენტი ადასტურებს, რომ ჩინეთთან სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ გაჩენილი თავდაპირველი წუხილები და შიშები, საფუძვლიანია. ჩინეთის გლობალური ინიციატივების კეთილშობილური სათაურები ამ ქვეყნის გრძელვადიან საგარეო პოლიტიკურ მიზანს ნიღბავს, რომლის არსი წესებზე დაფუძნებული საერთაშორისო წესრიგის რევიზია და მისი ჩინეთის ინტერესებზე გადაწყობაა. არსებული საერთაშორისო წესრიგი და ნორმატიული საგარეო პოლიტიკა, მისი არაერთი ნაკლოვანების მიუხედავად, ერთადერთი მოდელია, რომელშიც საქართველოს ტიპის მცირე სახელმწიფოს ეროვნული ინტერესების რეალიზებაა შესაძლებელი, მით უფრო ტერიტორიული პრობლემებისა და ოკუპაციის ფონზე. გლობალური მმართველობის ის ფორმა, რომელსაც ჩინეთი ახვევს მსოფლიოს, ავტორიტარულ რეჟიმებს შეუზღუდავი პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო ექსპანსიის საშუალებას აძლევს, ძირითადად საქართველოს მსგავსი მცირე სახელმწიფოების ხარჯზე. აშკარაა, რომ (სხვა ინიციატივებთან ერთად) გლობალური ცივილიზაციის ინიციატივის მხარდაჭერით, საქართველომ საკუთარი ეროვნული ინტერესების საზიანოდ იმოქმედა.

ავტორი:

გიორგი შაიშმელაშვილი

ავტორის მიერ გამოთქმული მოსაზრებები, განცხადებები და კომენტარები, ეკუთვნის მხოლოდ მას/სამოქალაქო იდეას და არ ასახავს დამხმარე ორგანიზაციების პოზიციას. შესაბამისად, არც ერთი დამხმარე ორგანიზაცია არ არის პასუხისმგებელი ინფორმაციული მასალის შინაარსზე.